თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-34745-23
09 / 06 / 2023

შპს „საგზაო კრწანისი“-ს დირექტორს
ვარლამ გოშხეთელიანს

ბატონო ვარლამ,

თქვენი მიმდინარე წლის 25 მაისის №02-13-34745-23 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, კრწანისის რაიონი, გორგასლის ქუჩა №36-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.18.09.005.005) კომუნიკაციების დაზუსტებასთან დაკავშირებით კომპანიის პოზიციის დაფიქსირებას გაცნობებთ, რომ საკადასტრო ერთეულს კვეთს შპს „თბილისი ენერჯი“-ს კუთვნილი საჰაერო D=70 მმ-იანი საშუალო წნევის და D=100 მმ-იანი დაბალი წნევის გაზსადენები, მიწის ნაკვეთის მიჯნაზე ფიქსირდება გაზმარეგულირებელი პუნქტი (გეემპე), მიწისქვეშა D=63pe საშუალო წნევის, D=76 მმ-იანი დაბალი წნევის და ასევე მიწისქვეშა საშუალო წნევის (დიამეტრი უცნობია) მილსადენები.

სამომავლოდ თქვენ მიერ დაგეგმილი სამუშაოების წარმოების შემთხვევაში შესასრულებელი მოთხოვნებია:

- მანძილი გაზმარეგულირებელი პუნქტის (გეემპე) ღერძიდან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე განისაზღვროს არანაკლებ **10 (ათი)** მეტრით საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანების - „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების“ წესების შესაბამისად.
- საჰაერო D=100 მმ-იანი დაბალი წნევის გაზსადენის საექსპლუატაციო ზონა საჭიროა დაიტვირთოს სერვიტუტით კომპანიის სასარგებლოდ მილსადენის ღერძიდან ორივე მხარეს **1 (ერთი)** მეტრის მანძილზე, რაზედაც უნდა მოგვმართოთ შესაბამისი განაცხადით, რის შემდგომაც ჩვენს წარმომადგენელთან შეთანხმებით გაფორმდება ხელშეკრულება საჯარო რეესტრში.
- ნაკვეთზე არსებული საჰაერო D=70 მმ-იანი საშუალო წნევის მილსადენის გადატანა/მარშრუტის ცვლილება.

დამატებით გაცნობებ, რომ საჭიროებისამებრ დასამოწმებლად უნდა წარმოადგინოთ ასაშენებელი ობიექტის ელექტრონული გენგეგმა DWG-ფაილის სახით UTM-WGS-1984 წლის პროექციაში, ასევე დეტალური PDF-ვერსია 1:500 მასშტაბით, სადაც დატანილი იქნება პირობითი აღნიშვნები, შემსრულებლის ხელმოწერა და ბეჭედი, კომპანიის გაზსადენი უსაფრთხოების ზონების დაცვის გათვალისწინებით (მათ შორის სერვიტუტის მონიშვნით).

წარმოგიდგენთ აღნიშნულ ტერიტორიაზე მილსადენების განლაგების სქემატურ ნახაზს.

დანართი: სქემატური ნახაზი - 1 (ერთი) ფურცელი;

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:300
N
W
E
S
D=63pe
D=76
01.18.09.005.005
D=70
D=100
D=50
D=50
პირობითი აღნიშვნები
გეომპე
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისზედა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-0123149775**
თარიღი: **29/05/2023**

ადრესატი: შპს საგზაო კრწანისი
საიდენტიფიგაციო ნომერი: 204379010
მისამართი: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, გორგასლის ქ. ,N36

შ.პ.ს “თბილსერვის ჯგუფში” შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში რიცხულ მიწის ნაკვეთს (ს/კ:01.18.09.005.005) კვეთს გარე განათების მოქმედი საჰაერო ელ.გადამცემი ხაზი. აქედან გამომდინარე შ.პ.ს.“თბილსერვის ჯგუფი” წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები, თუ უზრუნველყოფილი იქნება თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება და დაცული იქნება დაცვის ზონები შენობა/ნაგებობასა და ელ.სადენს შორის (დასაშვები მანძილი შენობა/ ნაგებობების, ხაზობრივ ნაგებობასთან მიმართებაში უნდა იყოს არანაკლებ 2 მეტრისა), ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში გარე განათების ქსელის გადაადგილება შეთანხმებული უნდა იყოს შ.პ.ს."თბილსერვის ჯგუფთან" და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან.

ვეფხვია ბაძაღუა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-დირექტორის მოადგილე
(გარე განათების დარგში)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

№ 2801/24-8 "01" 06 2023

შპს „საგზაო კრწანისი“-ს დირექტორს

ბატონ ვარლამ გოშხეთელიანს

iubaburiani@gmail.com

ტელ: 577757737

ბატონო ვარლამ,

თქვენი 25/05/2023 8-4573 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, გორგასლის ქ. #36-ში, მიწის ნაკვეთზე ს.კოდით 01.18.09.005.005 შედის სს „სილქნეტის“ მიწისქვეშა შემყვანი არხი, ასევე ნაკვეთის მიმდებარედ გადის მიწისქვეშა კომუნიკაციები, რომელსაც ვაწვდით თანდართულ CD დისკზე შეიპ ფაილის ფორმატში.

იმ შემთხვევაში, თუ მფლობელი აღნიშნულ ნაკვეთში დააპირებს მიწის გათხრით ან სამშენებლო სამუშაოებს, იგი ვალდებული იქნება ამ სამუშაოების ამსახველ პროექტში გაითვალისწინოს ჩვენს მიერ მიწოდებული ინფორმაცია და ისე წარმოადგინოს სს „სილქნეტში“ შესათანხმებლად.

სს „სილქნეტის“ კომუნიკაციასა და საპროექტო ობიექს შორის დაშორება შეადგენს მინიმუმ 1 მეტრს.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების

დეპარტამენტის უფროსი

ასტამურ აჩბა



011809004059
011809005029
7200-1-1040
1X16
7200-1-1038
მიმდებარე
მიწისქვეშა
შემყვანი არხი
011809005005
011809005010
მიმდებარე
საჰაერო
011809005023
011809005015
72-1-92.8-1040

№ GG23-0802233 D 8.06.2023

შპს „საგზაო კრწანისი“
ელ.ფოსტა: jubaburiani@gmail.com
ტელეფონი: 577 75 77 37

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში ,,კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრაციის #IN23-0795999; თარიღი 25/05/2023წ.) ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლის ქ. N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი N01.18.09.005.005 მიწისქვეშა კომუნიკაციების ადგილმდებარეობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი N01.18.09.005.005 შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ბალანსზე რიცხული წყალსადენ-წყალარინების ქსელები არ გაედინება.

ამასთანავე, ,,კომპანია“ გაცნობებთ, რომ თქვენს განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლოა გაედინებოდეს სხვა, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ჯ. ჩაჩხალია; ლ. გაგნიძე
ტელეფონი: 293 11 11 (1127); (2102)